



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი №1

პროგრამის შინაარსი

<p>პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)</p>	<p>ბერძნულ–რომაული ფილოლოგია / Greek-Roman Philology</p> <p>პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სამ მოდულს, სწავლის სამი დეტალური სფეროს შესაბამისად: 1. კლასიკური ფილოლოგია; 2. ბიზანტიური ფილოლოგია; 3. ახალი ბერძნული ფილოლოგია.</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)</p>	<p>კლასიკური ფილოლოგიის მაგისტრი ან ბიზანტიური ფილოლოგიის მაგისტრი ან ახალი ბერძნული ფილოლოგიის მაგისტრი (სტუდენტის მიერ არჩეული მოდულის მიხედვით) Master of Classics or Master of Byzantine Philology or Master of Modern Greek Philology</p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება</p>	<p>მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 120 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 30 ECTS კრედიტი ეთმობა სამივე მოდულისათვის სავალდებულო სასწავლო კურსებს. 30 ECTS კრედიტი განკუთვნილია თითოეული მოდულისათვის სავალდებულო დისციპლინებისთვის. 30 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი სასწავლო კურსების არჩევა როგორც თავისი, ისე მომიჯნავე მოდულის არჩევითი დისციპლინიდან. 30 ECTS კრედიტი განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომისათვის.</p>
<p>სწავლების ენა</p>	<p>სწავლების ენა არის ქართული. პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსები წარიმართება ახალბერძნულ და ინგლისურ ენებზე (დეტალური ინფორმაცია მოცემულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში).</p>
<p>პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი</p>	<p>პროგრამის კოორდინატორი: ასოც. პროფ. ირინე დარჩია პროგრამის ხელმძღვანელები: პროფ. თინა დოლიძე, მოწვ. ლექტ. მაგდა მჭედლიძე, ასოც. პროფ. ანა ჩიქოვანი</p>
<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</p>	<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ნებისმიერი მიმართულებით, საერთო სამაგისტრო გამოცდა, უცხოური ენის (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით, წერითი გამოცდა სპეციალობაში. საქართველოს განათლებისა და შრომის ბაზრის თავისებურებების და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვებიან ნებისმიერი მიმართულების კურსდამთავრებულები, მაგრამ წერითი გამოცდა სპეციალობაში ადგენს მაგისტრანტობის კანდიდატების მზაობას, სწავლა განაგრძონ ბერძნულ–რომაული ფილოლოგიის მიმართულებით. კერძოდ, გამოცდა სპეციალობაში ამოწმებს რამდენად იცნობს მაგისტრანტობის კანდიდატი ანტიკურ, ბიზანტიურ და</p>



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>ახალბერძნულ ლიტერატურას, ძველ ბერძნულ / ლათინურ / ახალბერძნულ ენას.</p> <p>წერითი გამოცდის ბილეთი მოიცავს ოთხ საკითხს: 1. ანტიკური ლიტერატურა; 2. ბიზანტიური ლიტერატურა; 3. ახალი ბერძნული ლიტერატურა; 4. საშუალო სირთულის ტექსტი სათარგმნად ძველი ბერძნული / ლათინური / ახალბერძნული ენიდან (სტუდენტი ირჩევს მოდულის შესაბამის ენას).</p> <p>კლასიკური ფილოლოგიის მოდულზე სწავლის გაგრძელების მსურველისთვის სავალდებულოა ერთ-ერთი კლასიკური ენა, ახალი ბერძნული ფილოლოგიის მოდულისთვის - ახალი ბერძნული, ხოლო ბიზანტიური ფილოლოგიის მოდულზე სწავლის გაგრძელების მსურველს შეუძლია არჩევანის გაკეთება კლასიკურ და ახალ ბერძნულ ენებს შორის.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის – კლასიკური, ბიზანტიური ან ახალბერძნული ფილოლოგიის – სპეციალისტების მომზადებას, რომელთა დარგობრივი ცოდნა, სხვადასხვა (კოგნიტური, მეთოდოლოგიური, ტექნოლოგიური, სისტემური, საკომუნიკაციო, სოციალური და სხვ.) უნარები და ზოგადი კომპეტენციები უზრუნველყოფს მათ დასაქმებას დიდაქტიკურ და სამეცნიერო, მთარგმნელობით, საგამომცემლო, მასმედიის სფეროებში, სასულიერო-საგანმანათლებლო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, საჯარო სექტორში და სხვ. ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა იძლევა სწავლის შესაბამისი დეტალური სფეროების ღრმა და სისტემურ ცოდნას და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ჩვევებს, ხოლო პროგრამის მულტიდისციპლინური პროფილის გამო კურსდამთავრებულებს აქვთ არა მხოლოდ კლასიკური, ბიზანტიური ან ახალბერძნული ფილოლოგიის, არამედ ზოგადად ფილოლოგიურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფართო პროფილით სწავლის გაგრძელების პერსპექტივა.</p> <p>ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მიზნებია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ბერძნულ-რომაული სამყაროს ენობრივი, ლიტერატურული, კულტურული თავისებურებებისა და ძირითადი მახასიათებლების - შესწავლა და გააზრება სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში; 2. ანტიკურობის გავლენისა და მნიშვნელობის შესწავლა ბიზანტიური და ახალი ბერძნული ლიტერატურისა და კულტურის ფორმირების პროცესში; 3. ანტიკური, ბიზანტიური და ახალი ბერძნული ლიტერატურის ნიმუშების თარგმნა კლასიკური (ძველი ბერძნული და ლათინური), შუასაუკუნეების ბერძნული და ლათინური, ახალი ბერძნული ენებიდან ქართულად და,



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>ამგვარად, წვლილის შეტანა საზოგადოების კულტურული განვითარების პროცესში;</p> <p>4. დიდაქტიკურ და სამეცნიერო, მთარგმნელობით, საგამომცემლო, მასმედიის სფეროებში, სასულიერო-საგანმანათლებლო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, საჯარო სექტორში საქმიანობა სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნის, სხვადასხვა (კოგნიტური, მეთოდოლოგიური, ტექნოლოგიური, სისტემური, საკომუნიკაციო, სოციალური და სხვ.) უნარების გამოყენებით.</p> <p>ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა მომავალში ხელს შეუწყობს: ანტიკური, ბიზანტიური და თანამედროვე ბერძნული კულტურული ღირებულებების შესწავლასა და ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის განვითარებას; ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის სიღრმისეულ გააზრებას ანტიკურობის, ბიზანტიური და ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში; საქართველოსა და საბერძნეთს შორის უკვე არსებული ურთიერთობების, ქართულ-ბერძნული მრავალსაუკუნოვანი და მრავალმხრივი კავშირების გაღრმავებას.</p> <p>სამაგისტრო პროგრამის აქტუალობას განაპირობებს: საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული და კულტურული კონტაქტები როგორც ანტიკურ საბერძნეთთან და რომთან, ისე ბიზანტიასთან და თანამედროვე საბერძნეთთან; საქართველოში მნიშვნელოვანი ბერძნული დიასპორის არსებობა; ანტიკური და ბიზანტიური სამყაროს როლი და მნიშვნელობა როგორც ევროპული ცივილიზაციის, ისე ქართული კულტურის ფორმირების პროცესში, ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის როლი და ადგილი მსოფლიოს ყველა წამყვანი უნივერსიტეტის კურიკულუმში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალწლოვანი სამეცნიერო კონტაქტები კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებთან და ამ ტრადიციის გაღრმავების აუცილებლობა.</p>
სწავლის შედეგები	<p>საქართველოს კანონმდებლობის და ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლის თანახმად, მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას შეიცვალოს სპეციალობა ან აიმაღლოს კვალიფიკაცია. ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, ერთი მხრივ, მისი აქტუალობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს განათლებისა და შრომის ბაზრის შეზღუდვების გათვალისწინებით, იძლევა საშუალებას, რომ მის</p>



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>ფარგლებში სტუდენტების ნაწილმა აიმაღლოს კვალიფიკაცია, ხოლო მეორე ნაწილმა შეიცვალოს სპეციალობა.</p> <p>პროგრამის სამივე მოდულის კურსდამთავრებულები შეძლებენ სწავლის გაგრძელებას დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს და ევროპული კვალიფიკაციების მერვე დონის შესაბამისად, შესაბამის პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.</p>
<p>ა) ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>კლასიკური, ბიზანტიური და ახალი ბერძნული ფილოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებული:</p> <p>1. განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ანტიკური, ბიზანტიური და თანამედროვე ბერძნული სამყაროს ძირითად მახასიათებლებს;</p> <p>2. აცნობიერებს ანტიკურობის გავლენას და მნიშვნელობას ბიზანტიური და თანამედროვე ბერძნული ლიტერატურისა და კულტურის ფორმირებისა და განვითარების პროცესში;</p> <p>კლასიკური ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებული:</p> <p>3.1. ავლენს ძველბერძნულ/ლათინურ ენებთან და ანტიკურ ლიტერატურასთან დაკავშირებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომელიც მოიცავს ენობრივ, ლიტერატურათმცოდნეობით და კულტურულ ასპექტებსა და კომპეტენციებს.</p> <p>4.1. განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ძველ ბერძნულ/ლათინურ ენებსა და ანტიკურ ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს, აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს.</p> <p>ბიზანტიური ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებული:</p> <p>3.2. ავლენს ბიზანტიური (შუა საუკუნეების) ბერძნულ და შუა საუკუნეების ლათინურ ენებთან, ბიზანტიურ ლიტერატურასთან დაკავშირებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომელიც მოიცავს ენობრივ, ლიტერატურათმცოდნეობით, საღვთისმეტყველო და კულტურულ ასპექტებსა და კომპეტენციებს.</p> <p>4.2. განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ბიზანტიური (შუა საუკუნეების) ბერძნულ და შუა საუკუნეების ლათინურ ენებთან, ბიზანტიურ ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს, აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს.</p> <p>ახალი ბერძნული ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებული:</p> <p>3.3. ავლენს ახალ ბერძნულ ენასთან და თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურასთან დაკავშირებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას,</p>



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>რომელიც მოიცავს ენობრივ, ლიტერატურათმცოდნეობით და კულტურულ ასპექტებსა და კომპეტენციებს.</p> <p>4.3. განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ახალ ბერძნულ ენასა და ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს, აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს.</p>
<p>ბ) უნარები</p>	<p>კლასიკური, ბიზანტიური და ახალი ბერძნული პროგრამის კურსდამთავრებული:</p> <p>5. სწავლის, კვლევისა და საქმიანობის პროცესში აანალიზებს როგორც პირველად, ისე მეორად წყაროებს, ლიტერატურულ მასალასა და შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას და ახდენს მათ სინთეზს, ინტერპრეტაციასა და კონტექსტუალიზაციას კვლევის უახლესი, მათ შორის ციფრული მეთოდების გამოყენებით;</p> <p>6. ავლენს ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის მიმართულეებით არსებული ენობრივი / ლიტერატურათმცოდნეობითი / კულტუროლოგიური ხასიათის სამეცნიერო პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის, პრეზენტაციის უნარს ბერძნულ-რომაული სამყაროს შესაბამისი პერიოდის კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით;</p> <p>7. ავითარებს ახალ იდეებს ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის ენობრივი / ლიტერატურული / კულტუროლოგიური ხასიათის სამეცნიერო პრობლემასთან დაკავშირებით, რომლებსაც აყალიბებს სამაგისტრო ნაშრომში, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და წარუდგენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.</p> <p>კლასიკური ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებული:</p> <p>8.1. თარგმნის ძველი ბერძნული/ლათინური ენებიდან ქართულად შესაბამისი ლექსიკონის/ლექსიკონების გამოყენებით და ამზადებს თარგმნილი ტექსტის/ტექსტების ენობრივი და ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის კომენტარებს;</p> <p>9.1. კრიტიკულად გაიაზრებს ანტიკურ ლიტერატურასა და კულტურასთან, თანამედროვე სამყაროში მის რეცეფციასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და უახლეს მიღწევებს;</p> <p>ბიზანტიური ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებული:</p> <p>8.2. თარგმნის ბიზანტიური (შუა საუკუნეების) ბერძნული და შუა საუკუნეების ლათინური ენებიდან ქართულად შესაბამისი ლექსიკონის/ლექსიკონების გამოყენებით და ამზადებს თარგმნილი ტექსტის/ტექსტების ენობრივი, ლიტერატურათმცოდნეობითი და საღვთისმეტყველო ხასიათის კომენტარებს.</p>



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>9.2. კრიტიკულად გაიაზრებს ბიზანტიურ ლიტერატურასა და კულტურასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და უახლეს მიღწევებს;</p> <p>ახალი ბერძნული ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებული:</p> <p>8.3. იყენებს ახალ ბერძნულ ენას როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციის დროს სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისათვის;</p> <p>9.3. კრიტიკულად გაიაზრებს თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურასა და კულტურასთან, თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურასა და კულტურაში ანტიკურობის რეცეფციასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და უახლეს მიღწევებს;</p>
<p>გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<p>კლასიკური, ბიზანტიური და ახალი ბერძნული ფილოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებული:</p> <p>10. ამყდავენებს დამოუკიდებლად სწავლის, კვლევისა და მუშაობის უნარს, რითიც წვლილი შეაქვს ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის დარგობრივი ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის განვითარებაში;</p> <p>11. ამყდავენებს ტოლერანტობას განსხვავებული აზრის, კულტურებისა და კონფესიების მიმართ.</p>
<p>სწავლება-სწავლის მეთოდები</p>	<p>სწავლების პროცესში გამოყენებულია დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება და განათლების მეცნიერებების განვითარების უახლესი ვითარების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული შემდეგი მიდგომები: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ელექტრონული სწავლება და სხვ. აღნიშნული მეთოდების გამოყენება ხდება ლექციის, სემინარის, პრაქტიკუმის, სამუშაო ჯგუფის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, სამაგისტრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში.</p> <p>სისტემატურად ეწყობა ექსკურსიები საქართველოს იმ მუზეუმებში, სადაც დაცულია ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ექსპონატები. პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე საქართველოს იმ ადგილებისა და ისტორიული ძეგლების მონახულებას, რომლებიც ბერძნულ-რომაულ სამყაროს და ქართულ-ბერძნულ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებს უკავშირდება.</p> <p>გარდა ამისა, სასწავლო პროცესის გაღრმავებისა და გამრავალფეროვნების მიზნით ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, ლიტერატურული სადამოები, ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან დაკავშირებული მხატვრული ფილმებისა და სპექტაკლების ჩვენება და მათი</p>



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>განხილვა. მუშაობს ანტიკური დრამის სტუდენტური სტუდია „ოდეონი“. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში გამარჯვებული მოხსენებები ქვეყნდება სტუდენტთა სამეცნიერო კრებულ „მნემოსინეში“. 2022 წლის 6-8 ივნისს სტუდენტთა ყოველწლიურ კონფერენციას „ანტიკურობის თანამედროვეობა“ ექნება საერთაშორისო ფორმატი.</p> <p>ქართველ პედაგოგებთან ერთად ლექციებსა და სემინარებს სისტემატურად ატარებენ საბერძნეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, კვიპროსიდან და სხვა ქვეყნებიდან მოწვეული სპეციალისტები. წარჩინებული სტუდენტები კვალიფიკაციის ასამაღლებლად იგზავნიან საბერძნეთისა და კვიპროსის უმაღლეს სასწავლებლებსა და საზაფხულო სკოლებში.</p>
<p>შეფასების სისტემა</p>	<p>პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.</p> <p>პროგრამის სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ა) ლექციებზე დასწრებას, სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას; გ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას; დ) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (სამაგისტრო ნაშრომი, თარგმანი, მოხსენება კონფერენციაზე და სხვ.) მუშაობას; ე) სამაგისტრო ნაშრომის დაცვას და გამოსაქვეყნებლად მომზადებას; ვ) სხვა სახის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.</p> <p>სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს რამდენიმე კომპონენტს (დასკვნითი გამოცდა და შუალედური შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულა შესაძლებელია განისაზღვროს არანაკლებ 30 და არაუმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერთი ან კომბინირებული წერა/ზეპირი გამოცდა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.</p> <p>სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით/მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან და</p>



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>კომპეტენციებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;</p> <p>არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:</p> <p>ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;</p> <p>ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 5 დღისა.</p> <p>დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა.</p> <p>დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა (და არა დასკვნითი გამოცდის ქულები) ემატება გამოცდამდე დაგროვილ ქულათა რაოდენობას და ორივე ერთად ქმნის კურსის საბოლოო შეფასებას.</p> <p>დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 21 ქულისა.</p> <p>გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების ნახევარს.</p> <p>თუ კურსის საბოლოო შეფასება 50-ს არ აღემატება (0-50 ქულა), ფორმდება F- 0 ქულა. შესაბამისად, სასწავლო კურსის საბოლოო მინიმალური დადებითი შეფასება 51 ქულაა.</p> <p>კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება საჯარო დაცვაზე, სადაც მაგისტრანტი დაიშვება ნაშრომის წინასწარი დაცვის წარმატებით გავლის, სამეცნიერო ხელმძღვანელის სათანადო დასკვნისა და სამაგისტრო ნაშრომის Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით გატარების შემდეგ.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია დარგის სპეციალისტის რეცენზია (მაქს. 60 ქულიდან მინიმუმ 31 ქულის მიღების გარეშე საჯარო დაცვაზე მაგისტრანტი პრეზენტაციით ვერ</p>
--	--



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>წარსდება) და მაგისტრანტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია დაცვის კომისიის წინაშე (მაქს. 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მიღება აუცილებელია). სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის შეფასების ჯამს.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება 51 ან მეტი ქულის ტოლია.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომის არადაამკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.</p>
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>ბერძნულ–რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს უცხო ენების შემსწავლელ და/ან მთარგმნელობით ცენტრში, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციაში, გამომცემლობაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ-გამოცემები და სხვ.), სხვადასხვა პროფილის ფონდში, არასამთავრობო ორგანიზაციასა და სახელმწიფო სექტორში, კერძო კომპანიაში, სასულიერო-საგანმანათლებლო ცენტრებში, ბერძნულ-ქართულ კომპანიებში, საბერძნეთის, კვიპროსისა და საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში და სხვ.</p>
<p>სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის</p>	<p>პროგრამის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს.</p> <p>უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხურებზე სწავლის წლიურ საფასურს ადგენს უნივერსიტეტი, ფაკულტეტი ან პროგრამა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.</p>
<p>პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი</p>	<p>პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები, რომელთაც აქვთ ბერძნულ–რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლების, კვლევისა და პროფესიული საქმიანობის გამოცდილება.</p> <p>კერძოდ, ბერძნულ–რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამას წარმართავს:</p> <p>კლასიკური ფილოლოგიის მოდული: ემერიტუსი პროფ. რისმაგ გორდეზიანი, პროფ. ნანა ტონია, ასოც. პროფ. იამზე გაგუა, ასოც. პროფ. ირინე დარჩია, ასოც. პროფ. ეკატერინე კობახიძე, ასოც. პროფ. ქეთევან ნადარეიშვილი, ასოც. პროფ. მანანა ფხაკაძე, ასოც. პროფ. ზაზა ხინთიბიძე; მოწვეული ლექტორები: ფილოლოგიის დოქტორი ლიკა გორდეზიანი, ფილოლოგიის დოქტორი გიორგი უგულავა,</p>



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>ფილოლოგიის დოქტორი მაია შუხოშვილი, ფილოლოგიის მაგისტრები თათია მთვარელიძე და თამარ კოშორიძე (წაუძღვებიან სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობებს).</p> <p>ბიზანტიური ფილოლოგიის მოდული: პროფ. თინა დოლიძე, პროფ. ლევან გიგინეიშვილი, ასისტ. პროფ. თამარ აფციაური; მოწვეული ლექტორები: ფილოლოგიის დოქტორი მაგდა მჭედლიძე, ფილოლოგიის დოქტორი გვანცა კოპლატაძე, ფილოლოგიის დოქტორი რუსუდან მარგიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი თამარ ოთხმეზური, დოქტორანტი ალექსი ნიკოლოზიშვილი (წაუძღვება სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობებს).</p> <p>ახალი ბერძნული ფილოლოგიის მოდული: ასოც. პროფ. სოფიო შამანიდი, ასოც. პროფ. ანა ჩიქოვანი, ასოც. პროფ. მედეა აბულაშვილი; მოწვეული ლექტორები: ფილოლოგიის დოქტორი მედეა მეტრეველი, ფილოლოგიის დოქტორი თეა გამრეკელი, ფილოლოგიის დოქტორი მაია კაკაშვილი და დოქტორანტი ეკატერინე ქართველიშვილი (წაუძღვება სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობებს).</p> <p>არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე შესაძლებელია წლიურად 30 სტუდენტის მიღება (10 სტუდენტი თითოეულ მოდულზე).</p>
<p>პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა</p>	<p>ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც თსუ-ს ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. სწორედ საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და განვითარებას.</p> <p>გარდა ამისა, დაფუძნებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის განვითარების ფონდი, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოში საბერძნეთის საელჩოს, საბერძნეთის უწყვეტი განათლების, რელიგიურ საქმეთა და მეცნიერების სამინისტროს, საბერძნეთის საგარეო და კულტურის, კვიპროსის განათლებისა და კულტურის სამინისტროების, სხვადასხვა ბერძნული ფონდებისა და ორგანიზაციების დახმარებით. აღნიშნული ფონდის მხარდაჭერით ინსტიტუტთან არსებული საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესს უახლესი ქართულენოვანი სახელმძღვანელოებითა და ლექსიკონებით, რომლებსაც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი ამზადებს.</p> <p>საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ინსტიტუტის ბაზაზე განხორციელებული საერთაშორისო პროგრამა „დიონისოს</p>



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	ვარელასი ბიზანტინისტიკის განვითარებისათვის”. აღნიშნულ პროგრამას აფინანსებს ბერძნული ფარმაცევტული კომპანია „გალენიკა“. პროგრამის მიზანი ბიზანტინისტიკის მიმართულებით სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი, საგამომცემლო საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერაა, დამატებით უწყობს ხელს უწყობს ბიზანტიური ფილოლოგიის მოდულის ფინანსურ მდგრადობას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	---



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სწავლის შედეგები

კლასიკური, ბიზანტიური და ახალი ბერძნული ფილოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებული:

<p>ა) ცოდნა და გაცნობიერება</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ანტიკური, ბიზანტიური და თანამედროვე ბერძნული სამყაროს ძირითად მახასიათებლებს; ✓ აცნობიერებს ანტიკურობის გავლენას და მნიშვნელობას ბიზანტიური და თანამედროვე ბერძნული ლიტერატურისა და კულტურის ფორმირებისა და განვითარების პროცესში;
<p>ბ) უნარები</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ სწავლის, კვლევისა და საქმიანობის პროცესში აანალიზებს როგორც პირველად, ისე მეორად წყაროებს, ლიტერატურულ მასალასა და შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას და ახდენს მათ სინთეზს, ინტერპრეტაციასა და კონტექსტუალიზაციას კვლევის უახლესი, მათ შორის ციფრული მეთოდების გამოყენებით; ✓ ავლენს ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის მიმართულებით არსებული ენობრივი / ლიტერატურათმცოდნეობითი / კულტუროლოგიური ხასიათის სამეცნიერო პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის, პრეზენტაციის უნარს ბერძნულ-რომაული სამყაროს შესაბამისი პერიოდის კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით; ✓ ავითარებს ახალ იდეებს ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის ენობრივი / ლიტერატურული / კულტუროლოგიური ხასიათის სამეცნიერო პრობლემასთან დაკავშირებით, რომლებსაც აყალიბებს სამაგისტრო ნაშრომში, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და წარუდგენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
<p>გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, კვლევისა და მუშაობის უნარს, რითიც წვლილი შეაქვს ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის დარგობრივი ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის განვითარებაში; ✓ ამჟღავნებს ტოლერანტობას განსხვავებული აზრის, კულტურებისა და კონფესიების მიმართ.

კლასიკური ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებული:

<p>ა) ცოდნა და გაცნობიერება</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ ავლენს ძველბერძნულ/ლათინურ ენებთან და ანტიკურ ლიტერატურასთან დაკავშირებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომელიც მოიცავს ენობრივ, ლიტერატურათმცოდნეობით და კულტურულ ასპექტებსა და კომპეტენციებს. ✓ განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ძველ ბერძნულ/ლათინურ ენებსა და ანტიკურ ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკვანძო
---------------------------------	---



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	საკითხებს, აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს.
<i>ბ) უნარები</i>	<ul style="list-style-type: none"> ✓ თარგმნის ძველი ბერძნული/ლათინური ენებიდან ქართულად შესაბამისი ლექსიკონის/ლექსიკონების გამოყენებით და ამზადებს თარგმნილი ტექსტის/ტექსტების ენობრივი და ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის კომენტარებს; ✓ კრიტიკულად გაიაზრებს ანტიკურ ლიტერატურასა და კულტურასთან, თანამედროვე სამყაროში მის რეცეფციასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და უახლეს მიღწევებს;

ბიზანტიური ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებული:

<i>ა) ცოდნა და გაცნობიერება</i>	<ul style="list-style-type: none"> ✓ ავლენს ბიზანტიური (შუა საუკუნეების) ბერძნულ და შუა საუკუნეების ლათინურ ენებთან, ბიზანტიურ ლიტერატურასთან დაკავშირებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომელიც მოიცავს ენობრივ, ლიტერატურათმცოდნეობით, საღვთისმეტყველო და კულტურულ ასპექტებსა და კომპეტენციებს. ✓ განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ბიზანტიური (შუა საუკუნეების) ბერძნულ და შუა საუკუნეების ლათინურ ენებთან, ბიზანტიურ ლიტერატურასთან დაკავშირებულ დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს, აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს.
<i>ბ) უნარები</i>	<ul style="list-style-type: none"> ✓ თარგმნის ბიზანტიური (შუა საუკუნეების) ბერძნული და შუა საუკუნეების ლათინური ენებიდან ქართულად შესაბამისი ლექსიკონის/ლექსიკონების გამოყენებით და ამზადებს თარგმნილი ტექსტის/ტექსტების ენობრივი, ლიტერატურათმცოდნეობითი და საღვთისმეტყველო ხასიათის კომენტარებს. ✓ კრიტიკულად გაიაზრებს ბიზანტიურ ლიტერატურასა და კულტურასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და უახლეს მიღწევებს;

ახალი ბერძნული ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებული:

<i>ა) ცოდნა და გაცნობიერება</i>	<ul style="list-style-type: none"> ✓ ავლენს ახალ ბერძნულ ენასთან და თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურასთან დაკავშირებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომელიც მოიცავს ენობრივ, ლიტერატურათმცოდნეობით, საღვთისმეტყველო და კულტურულ ასპექტებსა და კომპეტენციებს. ✓ განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ახალ ბერძნულ ენასა და ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს, აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს.
---------------------------------	---



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ) უნარები	<ul style="list-style-type: none"> ✓ იყენებს ახალ ბერძნულ ენას როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციის დროს სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისათვის; ✓ კრიტიკულად გაიაზრებს თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურასა და კულტურასთან, თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურასა და კულტურაში ანტიკურობის რეცეფციასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და უახლეს მიღწევებს;
------------	---

აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში განხორციელებული ცვლილებები:

N	ცვლილება	ცვლილების საფუძველი
1	<p>შეიცვალა სამივე მოდულისთვის სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალი: ახალმა ბერძნულმა სამეცნიერო ენამ შეიცვალა სტატუსი და კლასიკური და ბიზანტიური ფილოლოგიის მოდულისთვის გადავიდა არჩევითი სასწავლო კურსის კატეგორიაში.</p>	<p>სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფმა აჩვენა, რომ კლასიკური და ბიზანტიური მიმართულების სტუდენტების ნაწილი, ვინც არ აპირებს საბერძნეთში სწავლის გაგრძელებას ან ვისაც კვლევითი ინტერესების სპეციფიკის გათვალისწინებით არ სჭირდება ახალი ბერძნული ენა, მისი შესწავლის ნაცვლად ისურვებდა სხვა ევროპული სამეცნიერო ენების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) დაუფლებას ან ამ ენებში ცოდნის გაღრმავებას.</p>
2	<p>შეიცვალა სამივე მოდულისთვის სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალი და მასში უკეთ აისახა პროგრამის საერთო კონცეფცია: სტუდენტებისთვის ბერძნულ-რომაული სამყაროს სხვადასხვა პერიოდისა და კულტურის - კლასიკური, ბიზანტიური და თანამედროვე ბერძნული - ძირითადი მახასიათებლების სწავლება (2011-2022 წლებში მოქმედი პროგრამა სამივე მოდულის სტუდენტებს არ სთავაზობდა ბიზანტიურ სამყაროსთან დაკავშირებულ სავალდებულო სასწავლო კურსებს. წარმოდგენილი იყო მხოლოდ კლასიკური და ახალი ბერძნული ფილოლოგია).</p>	<p>მოქმედი პროგრამა შეფასდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების და კურსდამთავრებულების, გარე შემფასებლების მიერ. სამუშაო შეხვედრებისა და განხილვების დროს ლექტორებმა, ფოკუს ჯგუფში სტუდენტებმა და გარე შემფასებლებმა კოლექციურად შეფასებაში აღნიშნეს, რომ სამივე მოდულის სტუდენტებს არ ჰქონდათ საშუალება, გასცნობოდნენ ბიზანტიურ სამყაროს.</p>



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

3	<p>შეიცვალა სამივე მოდულისთვის სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალი და მას დაემატა კვლევის მეთოდები ბერძნულ-რომაულ ფილოლოგიაში.</p>	<p>ფოკუს ჯგუფში კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ვინაიდან არ ჰქონდათ საშუალება კვლევის მეთოდებსა და აკადემიური წერის პრინციპებს სისტემურად და თანმიმდევრულად გასცნობოდნენ, ზოგიერთ მათგანს შეექმნა პრობლემა სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში. ეს პრობლემა სამეცნიერო ხელმძღვანელების დახმარებით მოგვარდა, თუმცა სტუდენტებმა ისურვეს შესაბამისი სასწავლო კურსის დამატება. იგივე მოსაზრება გამოითქვა გარე შემფასებლების მიერაც. აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს საშუალება ჰქონდა ცოდნა და გამოცდილება მიეღო ციფრული ჰუმანიტარიის მიმართულებით, რაც აისახა პროგრამის შესაბამის სასწავლო კურსში.</p>
4	<p>შეიცვალა სწავლის შედეგების ფორმირების პრინციპები და კონცეფცია.</p>	<p>2019 წელს დამტკიცდა კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო, ხოლო 2021 წელს - ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებელი.</p>
5	<p>პროგრამა გამდიდრდა ელექტრონული სასწავლო რესურსებით და მომზადდა ელექტრონული სასწავლო კურსები.</p>	<p>კოვიდ 19 პანდემიის პირობებში განხორციელებული ელექტრონული სწავლების პროცესი.</p>
6	<p>განახლდა სილაბუსებში გამოყენებული სასწავლო მასალები.</p>	<p>პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და სხვადასხვა სახის პუბლიკაციები (მონოგრაფიები, სტატიები, სახელმძღვანელოები, თარგმანები, ლექსიკონები და სხვ.), თსუ-ს ბიბლიოთეკის მიერ</p>



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

		შემენილი უახლესი ლიტერატურა და სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, პანდემიის გამო გაზრდილი ღია წვდომა უახლეს უცხოენოვან ლიტერატურაზე.
7	ცალკეულ სასწავლო კურსებს (მაგალითად, ანტიკური ლიტერატურის ჟანრები) მოეხსნა წინაპირობა.	სწავლების პროცესმა აჩვენა, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსს არ მოეთხოვებოდა სპეციფიკური წინაპირობა სწავლის შედეგების მისაღწევად, ხოლო მისი არსებობა დამატებით ბარიერს უქმნიდა სტუდენტებს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შემთხვევაში და ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შედგენის დროს.
8	სამივე მოდულს დაემატა უცხოენოვანი სასწავლო კურსები (4 საგანი ინგლისურად, ერთი - ახალბერძნულად).	სამაგისტრო პროგრამების გარე კოლეგიალური შეფასების დროს გამოითქვა რჩევა, რომ პროგრამას დამატებოდა უცხოენოვანი სასწავლო კურსები.
9	შეიცვალა მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება.	2019 წელს დამტკიცდა განახლებული კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო და კლასიფიკატორი, რის გამოც საჭირო გახდა მისანიჭებელი კვალიფიკაციების ფორმულირების ცვლილება.
10	გაიზარდა სტუდენტის საბოლოო გამოცდაზე დაშვების მინიმალური ზღვარი.	ცვლილება განაპირობა თსუ-ს პროგრამების გარე შეფასების ფარგლებში მიღებულმა რეკომენდაციამ.